ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 6

1926 წ.

# ნაკადული



სახელმწიფო გამომცემლობა.

# შინაარსი


გვ.

1. ზაფხული,—სურათი . . . . . . . . . . 1
2. ზაფხული,—ლექსი ი. გრიშაშვილისა . . . 2
3. გულადი სოლიკო,—ნინო ნაკაშიძისა . . . 3
4. მერცხალი,—ლექსი მიმქრალისა . . . . 5
5. დაკარგული შვილი,—გ. რობიტაშვილისა . 6
6. ვერ მორიგდენ,—ლექსი ი. სიხარულიძისა . 11
7. ბებიის ტყვე,—ი. ვ—ისა . . . . . . . 13
8. მთის ნაკადი,—ლექსი ე. პოლუმორდვინოვისა 16
9. ჩიტუნია დერციკი,—თარგმ. ცქვიტისა . . . 17
10. გოგის ნიშა ძროხა,—ქუქუსი . . . . . . 20
11. თინას ნიშა,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა . 23
12. პეპელა და მხედარა,—№-ისა . . . . . . 24
13. მკითხველის წერილები: მზის სხივი, მწყემსი, ხევსურელი ბავშის წერილები . . . . . . . 31




ეროვნული ბიბლიოთეკა

წ. მე-XXII № 6 ივნისი 1926 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმმართველობის და საქ. ა. ლ. კომკავშ. ცენტრ. კომიტ. ჟურნალი ბავშვებისათვის.



საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ზაფხული

ყვავილები დაყვავილდენ,
გადაწითლდა ხეზე ხილი.
ირგვლივ ისმის ჩიტუნების
მხიარული მოძახილი.

გაითიბა მინდორ-ველი,
გაიშალა ცხვრისა ფარა,
და სიმღერით გაჭრილ ყანას
დახვევია დიდ-პატარა.

ყველა ცდილობს: ცხელ ზაფხულში
იშრომოს და გაისარჯოს,
რომ ოჯახი გამოჰკვებოს,
რომ ზამთრისთვის ჰქონდეს სარჩო.

ი. გრიშაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულადი სოლიკო

სოლიკოს მალიან უყვარდა თავისი დედა და ყოველთვის ეხმარებოდა მას მუშაობაში.

ერთხელ საღამოს თიკანი არ მოვიდა სახლში.

— სოლიკო, გენაცვალოს დედა,— უთხრა დედამ,— წადი, თეთრა მოძებნე, სადმე აქ ახლოს იქნება.

Г 1988



— მე ვიცი, სადაც არის, დედილო: ჩვენი ეზოს ბოლოში რომ ტყეა, იქ იყო! მე და ნატა წავალთ და ახლავე მოვიყვანთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშები გაიქცენ ტყისაკენ.

მზე დაიმალა ტყეს გადაღმა და ტყე შავად გამოიყურებოდა. ცაზე ამოგორდა დიდი მთვარე და მინდორზე ხეების შავი, დიდი ლანდები წამოვიდა. ბავშებმა ნაბიჯს უკლეს და ნელა წავიდენ.

— სოლიკო, ტყეში არ გეშინია?— ჰკითხა ნატამ.

— არა,—სთქვა სოლიკომ,—რისი უნდა მეშინოდეს, პატარა ხომ არა ვარ.

— პატარა არა, მაგრამ მგელი რომ გამოხტეს?..

— თუ გამოხტება, ისეთს დავარტყამ თავში ჯოხს, რომ სულს გავაფრთხობინებ. მე არაფრის არ მეშინია—და მან გულადად გადიქნია თავისი დიდი ჯოხი.

უკვე ტყეში შევიდენ. ჭოტის ძახილი ისმოდა. ხეებს შუა მთვარის შუქზე ფოთლების ლანდები ბარბაცებდა.

ხის იქით რაღაც ფაჩუნი გაისმა.

— მგელი, მგელი!—დაიყვირა უცებ ნატამ.

— ვაიმე, მგელი!—დაიღრიალა სოლიკომ, გააგდო ჯოხი და მოკურცხლა შინისაკენ.

ნატა გამოუდგა სირბილით, რაც მალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ვერ ეწეოდა მას.

მგელი კი ფეხდაფეხ მისდევდა მას. უცებ ნატას ფეხი წაუსხლტა და მიწს დაეცა.

ბავშების ყვირილზე სახლიდან დედა გამოვარდა.

— დედა, დედა, მგელი დაგვეცა თავზე და ნატა შეჭამა,—ღრიალებდა სოლიკო.

— სად? როგორ?

დედამ დაინახა წაქცეული ნატა, რომელსაც თიკანი თეთრა თავზე დასდგომოდა, და გაეცინა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოლიკომ თავი ჩაღუნა და ლუღლუღებდა:

— სულ ნატას ბრალია: მაგან დაიყვირა, მგელი, მგელიო... და თიკანი კი ყოფილა!

ნინო ნაკაშიძე

# მერცხალი

მერცხალი ვარ, ვჭიკჭიკობ,
მიყვარს შრომა ხალისით.
მიყვარს თეთრი ლაჟვარდი,
ვარდისფერი აისი!

მოვალ, მომაქვს სიცილი
უდარდელი, ბავშური,
შენს ფანჯარას ვესტუმრე
შენსკენ გამონაშური.

მიყვარს ბუდე ნამყოფი,
მთის ჩანჩქერი ანკარა,
სადაც დედა ალერსით
მატარებდა პატარას.

და ნუ გიკვირს, გენაცვა,
რომ ვჭიკჭიკობ და ვმღერი:
რა ვქნა, გულში იღვრება
სიხარულის ნამქერი!

მიმქრალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# I

სანდრო მამამ ქალაქში ჩაიყვანა და ხარაზს შეგირდად დაუყენა... ძალიან ეძნელებოდა სანდროს მამის მოშორება, ცრემლები სცვიოდა გამომშვიდობების დროს.

— აბა, შენ იცი, ოსტატო, და შენმა ვაჟკაცობამ... თუ კაცი ვარ, შენ ამაგს დავაფასებ... ვითომ შენი შვილი ყოფილა!..

— არა გიშავს რა, ჩემო ბიჭიკო, ნუ სტირი; ხელობას ისწავლი, ისე აღარ გაგიჭირდება, როგორც მამაშენს... ეუბნებოდა მამა...

— მშვიდობით, მამი, მშვიდობით,—ქვითინით მიაძახა სანდრომ.

სანდრო ჯერ ბავში იყო, მამის გარდა არავინ ჰყავდა... უცნობ ხალხში სულ ტიროდა... იგონებდა მამას, ტოლ-ამხანაგებს... ნაცნობი ადგილების გახსენებაზე ცრემლები გადმოსცვივდებოდა ხოლმე თვალებიდან...

— ბიჭო, რას იცინგლები! წყალი მოიტა... დუქანი დაგავე...

სანდროც მიდიოდა წყლისთვის...

ჰგვიდა დუქანს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარაზი ლოთი, ბრაზიანი ადამიანი გამოდგა; ბავშს სტანჯავდა და ამწარებდა...

მოითუთქა სანდრო... ნაღვლიანად გაიცქირებოდა დუქნის კარებიდან... როგორ უნდოდა თავისი სოფლის ენახა ვინმე... დაებარებინა მამასთან თავისი გაჭირვება: იცოდა, ის იხსნიდა...

ორი სამი თვე გავიდა, რაც სანდრო ქალაქში იყო... პირველ ორ კვირაში ამბავი ჩამოუვიდა: ,,ყოჩაღად იყავ, მალე გნახავო''. მის მერე კი აღარაფერი იცოდა...

სანდრო ერთხელ ხარაზმა საქმისათვის გაგზავნა... გზაზე ფიქრებმა გაიტაცა: ,,ვინ იცის, ახლა მამაჩემი სად არი, იქნება მე მიგონებს... რა კარგი იქნება ახლა ჩვენი მინდვრები... ნეტა ლექსას და დათიებას ვახსოვარ?''..

ისე გაიტაცა სანდრო ფიქრებმა, რომ ავტომობილის ხმაურობა და ყვირილი ვერ გაიგო...

## II

სანდრომ თვალები გაახილა...

მიიხედ-მოიხედა, დაინახა: ირგვლივ რამდენიმე საწოლი, ზედ კაცები იწვენ... ზოგი მათგანი კვნესოდა... აგერ, ერთი თვალებს აბრიალებს, აქეთ-იქით აწყვეტს ხელებს, შფოთავს: ,,მომეცათ... რა გინდათ ჩემგან''—ბოდავს ის...

— სად ვარ, ესენი ვინ არიან... ფეხი რათ მტკივა?.. გაიფიქრა შეშინებულმა სანდრომ.

შემოვიდა მორიგი ექიმი ავადმყოფების დასათვალიერებლად.

— როგორა ხარ, პატარავ, ძალიან გტკივა ფეხი?

— მტკივა, ძალიან მტკივა!.. სად ვარ, ძია, აქ რატომ მომიყვანეს?

ექიმს გაეცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ გეშინია, საავადმყოფოში ხარ, ფეხი გაქვს ნატკენი; მალე მოგარჩენთ და ისე გაგგზავნით...

სანდროსთვის ავტომობილს ფეხზე გადაევლო. მარჯვენა ფეხი მუხლს ქვეით ჰქონდა გადამტვრეული.

ექიმებმა მოჭრა დაუპირეს, მაგრამ, უფროსი ექიმის აზრით, მორჩენა შეიძლებოდა და ფეხი დაუტოვეს...

არტაშებით შეუკრეს მაგრა.

დიდი ტკივილები გამოიარა ბავშმა.

ნელ-ნელა ავადმყოფს უკეთესობა დაეტყო...

არტაშები შეხსნეს და თაბაშირით შეუკრეს ფეხი.

გავიდა ხანი. სანდროს სიარულის ნებაც დართეს ექიმებმა .. მართალია, პირველად ეხოთირებოდა ბავშს ყავარჯნებით სიარული, მაგრამ მალე შეეჩვია და დერეფანში სიამოვნებით დადიოდა...



ოსტატს ერთხელაც არ მოეკითხა სანდრო, მამისაგანაც არაფერი არ იცოდა...

ხშირად ტიროდა ბავში...

ამასობაში გამოკეთდა სანდრო და საავადმყოფოდან გამოწერეს...

— თვენახევრის შემდეგ მოხვალ და ფეხს შეგიხსნით... მაშინ სულ კარგად იქნები,—უთხრა ექიმმა...

დალონებული გამოვიდა სანდრო ქუჩაზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## III

— სად წავიდე, ვიპოვი დუქანს?—გაიფიქრა მწარედ ბავშმა...

მას მხოლოდ ის ახსოვდა, რომ გვირაბის მახლობლად უნდა მისულიყო.

კითხვა-კითხვით საღამომდე ძლივს მიაღწია ყავარჯნებით სანდრომ.

შეიპარა დუქანში... კუთხეში აიტუზა...

ოსტატი მთვრალი დახვდა.

სანდრომ კანკალით უამბო თავისი თავგადასავალი, თან ჰკითხა, მამაჩემი ხომ არ ყოფილაო.

ხარაზმა ამღვრეული თვალებით შეხედა ბავშს და დაუყვირა:

— ეს რა გიქნია, შე არამზადავ, რა უნდა ვუთხრა მამაშენს?!

— მ...ე...ე სოფელში წავალ, მამასთან... წაიჩურჩულა სანდრომ.

— სადაც გინდა იქ წადი, მე-კი მომშორდი და... ადე, დაიკარგე აქედან... ხარაზმა წაჰკრა ხელი კისერში სანდროს, გარეთ გამოაგდო და დაკეტა ტარაბა...

## IV

ორი დღეა, რაც სანდრო ქუჩიდან ქუჩაზე დადის... პირველი ღამე ცის ქვეშ გაატარა... მარტოკაა... შიან კიდეც... არაფერი არ უჭამია...

ისეც ავადმყოფი, შიმშილმა უფრო დაასუსტა... რა ქნა, ვისთვის მიემართა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათხოვრობა ვერ გაბედა... როგორ გაეწოდა ხელი მოწყალებისათვის...

დაქანცული, ცრემლიანი თვალებით აქეთ-იქით იცქირება; ეგები თავისი სოფლიდან ენახა ვინმე... გაჰყოლოდა სახლში, მამასთან...

ყავარჯენზე დაყრდნობილი ძლივღა დაათრევს ტანს...

უცბად თვალები გაუბრწყინდა... ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი...

— შაქრო, შაქრო, ძია შაქრო!—დაიყვირა მან.

ყავარჯნებით გაეშურა მისკენ, ჰეორე ქვაფენილზე...

ამ დროს ეტლმა ჩამოიქროლა... ნაცნობმა მისი ხმა ვერ გაიგონა... ხალხში მიიმალა... დაეკარგა ბავშს თვალიდან...

— ვაიმე, შაქრო, რა იქენ, სადა ხარ?—იძახდა ტირილით ბავში...

წავიდა, გაქრა თვალიდან მხსნელი... ილაჯგაწყვეტილმა სანდრომ გადაწყვიტა სოფელში წასვლა...

მამამ ის ცხენით ჩამოიყვანა კოჯრის გზით... ეს მხარე ბავშს კარგად ახსოვდა. შეუდგა მძიმე მგზავრობას მშიერი, დასუსტებული... დაიღალა, დაიქანცა!.. ხალმა ფეხმაც კანკალი დაუწყო... თვალები აუჭრელდა. სისუსტისაგან შიმშილი გადაავიწყდა... ცხელა... წყურია... ყელი გაუშრა, სუნთქვა ეკვრის...

— წყალი, ერთი წვეთი წყალი!..

ვეღარ შეიძლო სიარული...

გზის პირას თხრილში ჩაიკეცა, გრძნობა დაკარგა...

გ. რობიტაშვილი

(დასასრული იქნება)



# ვერ მორიგდენ

გივი. შენ, თხუპნიავ, გამურულო,
მითხარ, გუშინ რატომ მცემე?!
კაკო. რატომ გცემე? უსამართლოდ
ფისოს წიხლი რომ აგემე!!
გივი. აღარ იცი, შენი ფისო
ჯამიდან რომ საჭმელს მპარავს?..
მიტომ ვცემე... შენ კი მუდამ
ესარჩლები და იფარავ!..
კაკო. ახიც არის! არც გრცხვენია:
ჭამის დროს თვალს სად აშტერებ?!
ხელისცნობა იღებ საჭმელს,
ლუკმებს ატან ბუზებს, მწერებს!
გივი. შენ რა ჭკუის კოლოფი ხარ?!
დამიჯაბნე, რომ ხარ დიდი!..
მე მცემე და ამხანაგად
გაიხადე ფისო ფლიდი!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკო. შენ კი მურას ძმობილი ხარ,
მუდამ გლოკავს, გვერდში გიზის!..
გიგი. ფისო ფლიდი, ქურდი არის,
მიტომ თვალში აღარ მიზის...
კაკო. მოიგონე, ყმაწვილკაცო,
რომელია უფრო ქურდი?..
ის არ იყო, რომ ეზოში
ჩაათრია შენი ქუდი?!
გიგი. ეს მან თამაშობითა ჰქნა,
და ფისომ კი ითაღლითა!..
კაკო. ასეა, თუ ისე არის,
შენი ქუდი ხომ დაფლითა?!
გიგი. სულაც არა! მხოლოდ ერთგან
უცაბედად გაჰკრა კბილი!!
შენ მურა გძულს, რადგანც ფისოს
ჩააფარა თათი წყვილი!
კაკო. არც ის დარჩა უკაცრავად,
მანაც გაჰკრა მარდად ბრჭყალი,
და შენს მურას, აღარ გახსოვს,
როგორ ჰქონდა ცხვირი, თვალი?!
მაგრამ კარგი! გყავდეს მურა,
რადგან ასე შეგეთვისა!..
გიგი. ჰოდა, შენ კი აღარ გვცემო:
ჩვენ ჩვენთვის და თქვენ თქვენთვისა!

ილია სიხარულიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბებიის ტყვე

ბებია ელენეს არ უყვარდა პიონერები და ოქტომბრელები, როცა მისი შვილიშვილი, მიტო, ოქტომბრელებში ჩასწერეს, კინაღამ ცრემლები გადმოჰყარა.

—იმ თავხედ ბიჭებს დამიხედეთ, დაღუპავენ ჩემს მიტოს. დამაცადეთ, მომეცით დრო, გადავარჩევ მე მიტოს!

მიტო კი მირბის თავის ამხანაგ ოქტომბრელებთან, სულ იმათთან არის, სრულიად გადაეჩვია სახლს.

ბებია თავისი დღეობის გადახდას აპირებდა; მოზილა ცომი ხაჭაპურისათვის, იყიდა თევზი და კიდევ სხვადასხვა რამეები.

მიტოს კი სწორედ იმ დღეს ექსკურსია ჰქონდა დანიშნული ქალაქს გარეთ.

ბებია ელენე საღამოდანვე ეუბნება:

— მიტო, მე შენ არ გაგიშვებ, იუქმე ჩვენთან ერთად კვირადღე—აი, ეს იქნება კარგი! დილით ეკლესიაში წავიდეთ, მერე ერთად ვისაუზმოთ. დედასაც ესიამოვნება, და ჩემთვისაც კარგი იქნება.

მიტოს არ მოეწონა და უთხრა:

— ექსკურსიაზე მინდა წასვლა.

— არ გაგიშვებ, არ გაგიშვებ მეთქი.

მიტო ისეც ეხვეწებოდა, ასეც.

— არა,—ახირდა ბებია.

გადმოჰყარა ცრემლები მიტომ და ისე ცრემლებით ჩაეძინა.

დილით გამოიღვიძა, ფიქრობს: „გავიპარები, რა უშავს!... შეკრება ათი საათისათვის არის დანიშნული, მოვასწრებ“... და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწყო ჩაცმა, მაგრამ პერანგი სად არის? არც ფეხსაცმელია. აქეთ ეცა, იქით ეცა, ვერ იპოვა. რა ამბავია?

ბებია კი სამზარეულოში ზამოვართან ფუსფუსობს.

— ბებია, ჩემო ბებია!—დაუყვირა მიტომ.

— რა გინდა?

— სად არის ჩემი პერანგი და ფეხსაცმელი?

— დედამ ბაზარში წასვლის დროს დაკეტა.

დაიწყო ქშინვა მიტომ, მიხვდა, რომ ატყუებს მას ბებია. ადგა, ჩაიცვა შარვალი, უპერანგო კი დარჩა.—არაფერია, მე გაჯობებ,—ფიქრობს თავისთვის და ეუბნება: ,,ბებია, მომეც საუზმედ პური და კვერცხი“.

ის კი: ,,აი, დედა მოვა და ერთად დავლიოთ ჩაი და ვისაუზმოთ“.



უნდოდა მიტოს გარეთ გაპარულიყო, მაგრამ კარები დაკეტილი დაუხვდა. ბებია კი ეშმაკურად ეუბნება:

— დედამ წასვლის დროს გასაღები თან წაიღო.

დაჯდა მიტო ფანჯარასთან, ჩაფიქრდა.

ბებია კი კმაყოფილია. დადის წინდა-უკან, თავისთვის იცინის: ,,არა, ჩემს მიტოს გასავალი არსაით აქვს“...

რიღაცისათვის სამზარეულოში გავიდა. დაბრუნდა, ოთახში არავინ არ არის, ფანჯარა კი ღიაა... გაღებულია.

იკრა თავში ხელები ბებიამ.

— ის მოუსვენარი, ისა!.... ოჰ, ღმერთო ჩემო!... გაიპარა ტიტველა, უჭმელი, უსმელი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩქაროდ ამოიღო მიტოს პერანგი და ჩუსტები, თეთრი პურის ნაჭერი და კვერცხი, გავარდა ქუჩაში. მიტომ მხოლოდ ტიტველი ფეხის ქუსლები უჭრიალებენ. მირბის უპერანგოდ, ფეხშიშველა, უკან მისდევს ბებია ყველა მორთულობით და უყვირის:



— დაიცა, მიტო! პერანგი მაინც ჩაიცვი, შე ოინბაზო!...

ოჰ, ღმერთო! ფეხშიშველაა ხომ!....

მიტო კი მირბის და თან მოსძახის:

—მე კი ფეხშიშველა მივრბივარ, ფეხშიშველა მივრბივარ....

ძლივს-ძლივობით დაეწია ბებია, და თვითონ ჩააცვა, დახურა, ჩაუდო ჯიბეში საუზმე და ხელი ჩაუქნია: „რა თავალებული გახდი, მიტო!“

მიტომ კი გააღო პირი და გაიღრიჭა:



— არა უშავს, ბებია, ნუ გეწყინება, საღამოს დავბრუნდები და შენ და დედას ყვავილებს მოგიტანთ. ჩვენ, ოქტომბრელებმა, ასე ვიცით. პიონერებივით გაბედული ხალხი ვართ და ვერაფერი ვერ შეგვაშინებს!

ი. ვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მთის ნაკადი

მე ისეთი ცელქი ვარ,
როგორც ბავში პატარა,
ბროლისფერი მკერდი მაქვს,
ვუკრავ, როგორც ნაღარას...

მოვხტი მარდად, უშიშრად,
კლდეებს ვეთამაშები,
ჯერაც ვერ ამოვაშრე
მთის უძირო თასები..

ვარდ-ყვავილნო, მისმინეთ,
მე მთის ამბავს გიამბობთ,
სადაც გრძნობით მიშვილეს,
სადაც ვიგრძენ სიამე...

დილით მზე მესალმება
ოქროსფერი სხივებით,
და ვარდისფერალმება
ლამაზ ქოლგად ისხნება..

ო, მე როგორ მიხდება
მისი ცქერა მზიანი,
ნაქარგივით ირთვება
ტანი თეთრქაფიანი...

როცა დრო გადაირბენს
დღის სინათლის სიშორეს,
და როცა დასავლეთი
მზეს თან გადაიყოლებს,

მე მაინც არ ვჩუმდები,
არ ვაჩუმებ დენასა,
მთა-ბარს ვებუტბუტები,
ვაგონებ ჩემს ენასა...

ბინდგადაკრულ საღამოს
ემინება ხევებში,
მე კი ჩემს გზას ვეხვევი
ლამაზ ყელსახვევებში...

ასე დღე-ღამ ვსმაურობ
გახარებულ ბავშივით,
ღამე მთვარე მამშვენებს,
დღე—მზის ოქროს თავშალი.

და ისეთი ცელქი ვარ,
როგორც ბავში პატარა,
ო, ნეტავ ამ სიგიჟით
ყველგან გადამატარა!..

ე. პოლუმორდვინოვი

# ჩიტუნია დერციკი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთ მშვენიერ დღეს ლომის თავზარდამცემმა ღრიალმა მთლად შეაძრწუნა სამხრეთ აფრიკის დაბურული ტყე. ეს საშინელი ხმა სიკვდილის ზარის ჩამორეკვად მოედო იქაურობას.

შიშისაგან თავ-გზა აბნეული მხეცები მრავალი მხრისკენ გაფრთხნენ.

ტყეში, თითქოს გრიგალი შეიჭრაო, დაბლადაშვებული ტოტების ლაწალუწი და შრიალი ატყდა.

კლდიდან ქვები რახარუხით მირს წამოვიდნენ და ზოგ ადგილას კი შიშისაგან გამოწვეული და ქრუანტელის აღმძვრელი ყმუილი და გმინვა გაისმა.

გარბიან მხეცები, გარბიან დაგეშილები.

საერთო ხმაურობით და ალიაქოთით გულაფანცქალებულმა ფრინველებმაც ხშირი ფოთლები მონახეს და სული განაბეს.

ამ დროს ფაფარაყრილი ძლიერი ლომიც გამოჩნდა...

ის ერთ ალაგას სულ ცოტა ხნით გაჩერდა და ამაყად თავაწეულმა ირგვლივ ზვერვა დაიწყო.

მას თვალებიდან თითქოს ცეცხლი სცვიოდა.

აგერ, შორით დამფრთხალ რომელიმე პირუტყვს მან ალბად თვალი შეასწრო, რომ უცებ კუდი ჰაერში რამდენჯერმე შეათამაშა და, მოქნილ მათრახივით, ოქროსფრად მბზინავ ფერდებში რამდენჯერმე გაიტყლაშუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი კუდის ამგვარი ქნევა საშინელებას მოასწავებდა.

წუთიც. · და ერთ-ერთ გაქცეულ და მიზანში ამოღებულ პირუტყვს ელვის სისწრაფით წამოეწია, მოქნილი და მსუბუქი ნახტომი გააკეთა და ზაქისოდენა მსხვერპლს ზედ ზურგზე მოექცა.

კიდევ ერთი წუთიც—და მიყრუებულ ტყეში კისრის ძვლების ჭახაჭუხი ასტყდა.

გულშემზარავი ბღავილით წაიქცა მსხვერპლი და უმწეოდ ბორგვა და ფეხების ქნევა დაიწყო.

ახლა კი სრულიად მიწყნარდა ტყე...

დანარჩენმა მხეცებმა თავს უშველეს: ზოგი შორს გაფრთხა, სადღაც მთის იქით გადაიკარგა, ზოგმა ღრმა და ბნელი სორო მონახა, და ხუთი წუთის წინად შეჩოჩქოლებულ-შემფრთხალმა ტყემაც სული განაბა.

ახლა მხოლოდ სადღაც კლდიდან გადმოვარდნილი ჩანჩქერის შხუილი ყრუდ მოისმოდა, ხან კი რომელიმე მაღლობიდან დაქანებული მიწა გაიშრიალებდა და ისევ მალე მისწყდებოდა. მაგრამ ამ ორი გამოხმაურების ფონზე და ამ საერთო შიშისა და მრწოლის ჟამს იქვე ახლო მდგომი ხის კენწეროდან დაულალავი ფრთხიალი და ჭყიპინი მოისმოდა.

ეს ჩვენი მოუსვენარი და შეუპოვარი ჩიტუნია დერციკი გახლდათ; იმას იოტისოდენა შიშიც კი არ შეჰპარვია გულში.. ან შიშისათვის ვის ეცალა, როდესაც ცხვირმახათა პაწია ფრთოსანი დიდ საქმეში იყო გართული.

ან კი ცაში შეტყორცნილ ხის კენწეროზე მოფუსფუსე ჩიტუნიას ძლიერი ლომი რას დააკლებდა?

იგი ტოტიდან მირდახრილ ორ გრძელ და ფართო ფოთოლს ისე კოხტად, ისე საყვარლად დასცქრიალებდა, გეგონებოდათ, აქ ბუზიც არ აფრენილაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, მან საერთო ჩოჩქოლის ჟამს ცოტაოდენი გაშტერებით გაიხედ-გამოიხედა აქეთ-იქით, მაგრამ რაკი დარწმუნდა, რომ მას განსაცდელი არაფერი არ მოელოდა, თავისი საქმე მან ისევ უდარდელად განაგრძო.

ტოტიდან ძირსდაშვებულ ორ ფოთოლს ისევ გარს შემოურბინა, ახლო მისადგომი ტოტი იპოვნა და დახელოვნებული დერციკივით ამ ორი ფოთლის დაგვირისტებას შეუდგა. ჩიტუნიას ძაფის მაგივრად რაღაც ბალახის გრძელი ძარღვი ეჭირა და წინდაწინვე დახვრეტილ ფოთლების ნაპირებში ეს ძაფი წვეტიანი ნისკარტით, როგორც კარგი მახათით, გაჰქონდა და გამოჰქონდა.

დიდი ეშმაკი და თვალთმაქცი რამ არის ეს ჩიტუნია დერციკი! მან კარგად იცის, რომ მას ბევრი მტერი ჰყავს და, უბედურების თავიდან ასაშორებლად, ჩვეულებრივი ბუდის აშენებას ის ძლიერ გაურბის.

აგერ, ეს ორი გრძელი ფოთოლი ტომარასავით ამოკერა, შიგ მალე თეთრ და ნაზ ბუმბულს თბილი ლოგინივით ჩაიგებს და წავიდეს მისი მტერი და დუშმანი და მიხვდეს, რომ ამ პარკში ჩიტუნიას მრავალრიცხოვანი ოჯახობაა მოთავსებული. ეს უხარია ჩიტუნიას და ასე გამალებით ამიტომ დაცქრიალებს და არც არაფრის არ ეშინია.

ამ დროს მზე სამხრეთით გადმოიწია, ხშირ ტყეში ალმაცერი სხივები შუბის წვერებივით ჩაუშვა და გამუქებულ-გალაღებული ჩიტუნია დერციკი უფრო თამამად აამღერა, ააჭიკჭიკა.

ძირს კი ამ დროს სისხლის მორევი იდგა; ხორცების ფლეთა და ძვლების ტკაცუნი კიდევ ისმოდა. ალბად ძლიერი მხეცთა მეფე ჯერ კიდევ ვერ გამაძღარიყო.

ცქვიტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა




Დიდ გაჭირვებას განიცდიდა ქვრივი მართა თავისი ოთხი ობოლით.

დღე-და-ღამ იჯდა და შრომობდა: ართავდა, ქსოვდა და თავის ობლებს ანუგეშებდა, ცოტა-ღა მიკლია, რომ ძროხის საყიდელი ფული მოვაგროვოო.

— ცოტა, ცოტა კიდევ მოითმინეთ და მერე ხომ აღარ გაგვიჭირდება.

მის 13 წლის გოგის სიზრმად და ცხადად ძროხის შემენა ელანდებოდა. მაღლიც კი იშოვა, რომ არვის მოეპარა.

აი, გათავდა სუსხიანი ზამთარი და დაიწყო თბილი გაზაფხული; აყვავდა მინდორ-ველი, გაიღვიძა ბუნებამ.

ერთ მშვენიერ კვირა-დღეს, როცა მზე უხვად აფრქვევდა თავის მშვენიერ სხივებს დედამიწას, ქვრივი გაუდგა გზას და თავისი მთელი ზამთრის ნაწვავ-ნადაგი ფული წაიღო ძროხის საყიდლად, რომელსაც უნდა ერჩინა ქვრივი მართას ობლები.

ხალხი ბლომად მიდიოდა ბაზრისაკენ; მათ შორის მიდიოდა ჩვენი ქვრივი თავისი გოგით; გაფაცეცებით ათვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიერებდენ გასაყიდ საქონელს. გოგის თვალებს არ გამოეპარა ერთი კაცი, რომელიც ჰყიდდა ლამაზ ნიშა ძროხას თავისი ბოჩოლით. გოგი დანახვის უმალ გაექანა მისკენ და მოეხვია ძროხას კისერზე.

— დედი, გენაცვალე, ეს ძროხა ვიყიდოთ.

გოგის დედასაც მოეწონა ძროხა, მოურიგდა და დაბრუნდენ ძროხით შინ.



გოგის და-ძმის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა დაინახეს ნიშა ძროხა თავის ბოჩოლით.

გოგიმ საჩქაროდ აიღო ფანქარი და თავისი ნიშა ბოჩოლით რვეულში ჩაიხატა, რომ სკოლაში თავისი ამხანაგებისათვის ეჩვენებინა.

ამ დღიდან დაიწყო მართას ობლებისათვის ბედნიერი ცხოვრება. სადაც კი ბალახი იყო, თავის ნიშას იქ აძოვებდენ, სულ ხელით უგლეჯდენ ბალახს, სადაც ნიშა ვერ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვდებოდა. საღამოთი მართა წველიდა, ნაწილს აჭმევდა ბავშებს და ნაწილს კი მაწვნად ადედებდა. ძროხის შემოსავალი მთლად ჰკვებავდა ობლებს, და მართა კმაყოფილი იყო თავისი ბედის, მაგრამ მუდამ ეშინოდა, რომ ძროხის ჭირი ან რამე სხვა ხიფათი არ შეჰყროდა.

ერთ დღეს გოგიმ მოჰკრა ყური, რომ სოფელში საგლეხო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ მქადაგებელი ჩამოსულაო და სხვა გლეხებთან ერთად გოგიც წავიდა მოსასმენად.

მქადაგებელი საქონლის დაზღვევის შესახებ ლაპარაკობდა.



მაშინვე გოგიმ გულამომჯდარმა მიირბინა დედასთან და უამბო ყველა ნალაპარაკევი.

დედას ეს ძალიან მოეწონა, და სხვა გლეხებთან ერთად გოგიმ დააზღვევა თავისი ლამაზი ნიშა ბოჩოლათი და ამ დღიდან დამშვიდდენ ქვრივი მართა და მისი ობლები.

ჟუჟუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# თინას ნიშა

ბაკის კარები გაგიღე,
ნიშავ, გამოდი გარეთო;
გიგლა საძოვრად წაგიყვანს,
ორღობე ჩაიარეთო.

იქა ბიბინებს ბალახი
მწვანე ხავერდის ფერისო;
იქვე კლდის ძირას ანკარა
წყარო ჩუხჩუხობს, მღერისო.

სძოვე და სძოვე, ერთგულო,
სანამ არ მოგწყინდებაო;
გაძღები, ჩვენს საიმედოდ
ჯიქანი გაგეზრდებაო.

საღამოს შინ დაბრუნდები,
ჯიქანს შევახებ ხელსაო;
რძე ნოყიერი, მსუქანი
გაავსებს საწველელსაო.

შენა ხარ ჩვენი მკვებავი,
შენ შემოგევლე თავსაო;
უშენოდ ტანჯვა-ვაება
მოგვადგებოდა კარსაო.

გავაღე ბაკის კარები,
ნიშავ, გამოდი გარეთო;
გიგლა საძოვრად წაგიყვანს,
ორღობე ჩაიარეთო.

დ. ელიოზიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პეპელა და მხედარა

ფიჭვის დიდი პეპელა ფიჭვის ძირზე იჯდა ჩრდილში და თვალები მიბნედოდა. არ ინძრეოდა და ეძინებოდა.

მზე გადიხარა. ფიჭვის ყვითელი ტანი და მწვანე ქუდები დამუქდა. პეპელა შეინძრა. რგვალი, გადმოკარკლული თვალები გაუმუქდენ, ერთბაშად წამოიწია და აფრინდა. ისარივით გაისრიალა ტყის გზის დაყოლებით.



შეუსვენებლივ დაფრინავდა რამოდენიმე საათის განმავლობაში, ყვავილებზეც კი არა ჯდებოდა, მხოლოდ შეჩერდებოდა ჰაერში ფრთების ფარფატით, გამოსწევდა გრძელ ბაწია ხორთუმს და სვამდა ყვავილის ტკბილ წვენს.

საღამო მოიწურა. პეპელა აფრინდა მაღლა, ფიჭვის კენწეროზე. იქ რაღაცას დიდხანს ეძებდა. ბოლოს იპოვნა გრძე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, ნოყიერი წიწვით დაყურსული შტო და შიგ ჩაიმალა.

დაბნელდა. ტყემ უკანასკნელად გაიშრიალა და დაიძინა.

სიჩუმე ჩამოვარდა.



გათავდა ზაფხულის მოკლე ღამე და ისევ დაიფარა მზის სხივებით ხეების მწვანე კენწეროები. პეპელა არსად აღარ ჩანდა, მაგრამ წიწვებზე მჭიდროდ მიკრული პაწია მქრქალი, მწვანე კვერცხები დარჩა.

დღეები გადიოდა.

მზეს წვიმა მოჰყვებოდა, მერე ისევ მზე ამოდიოდა, კვერცხები თბებოდნენ, სველდებოდნენ და ისევ შრებოდნენ მზეზე.

ქარი ხმაურობდა. ხეები თავისი მწვანე კენწეროებით ერთმანეთს სალამს აძლევდნენ, შტოები ირხეოდნენ და მათთან ერთად ქანაობდნენ წიწვებზე მჭიდროდ მიკრული პაწია კვერცხებიც.

ორი კვირის შემდეგ კვერცხების ნაჭუჭები გასკდნენ და პაწაწკინა მწვანე მატლები გამოიჩეკნენ. ისინი გამოცოცდნენ, გაიფანტნენ შტოზე და დაუწყეს ღრღნა ნოყიერ წიწვს. გაათავებდნენ თუ არა ერთ წიწვს, გადაცოცდებოდნენ მეორეზე და ახლა იმის ჭამას მიჰყოფდნენ ხელს. მთელი დღის განმავლობაში შეუსვენებლივ მოძრაობაში იყო იმათი პაწაწინა ყბები და დღითი-დღე კი არა, მატლები საათობით იზრდებოდნენ და სქელდებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათ დღეში ისე გაიზარდენ, რომ თავისი მწვანე კანი დაუვიწროვდათ და შიგ ველარ ეტეოდენ; ავად გახდენ, ჭამას თავი დაანებეს და იყვნენ ერთ ადგილას უძრავად.

უცებ სიგრძეზე, თითქოს ნაკერავზე, გაუსკდა ყველას კანი, მაგრამ ქვეშ უფრო განიერი, ბრწყინვალე და ლამაზი სამოსი აღმოაჩნდათ. თითქოს ბუდე ყოფილიყოს, ისე ამოძვრენ ძველი კანიდან და ისევ შეუდგენ წიწვის ჭამას.

ასე გაიარა ორმოცმა დღემ.



ოთხჯერ გამოიცვალეს მატლებმა სამოსი და ყოველთვის ახალი სამოსი ძველზე უფრო ჭრელი და ლამაზი იყო. პატარა მქრთალი-მწვანე მატლები თითის სიმსხო გახდენ. მთელ ტანს მათ ხასხასა მწვანე, ყვითელი და იისფერი ზოლები უმშვენებდა, ირგვლივ კი შავი სარტყლები ერტყათ.

დღითიდღე უფრო და უფრო მეტს სჭამდენ და ბევრი მტოშპვე გატიტვლებული, მწვანე წიწვებ შემოცლილი, ეკიდა უსიცოცხლოდ.

ბევრი მატლი დაიღუპა; ზოგი ფრინველებმა შესანსლეს, ზოგი ქარმა ჩამოჰყარა ძირს, ზოგი სხვა ხეზე გადაცოცდა.

ძველ ადგილას მხოლოდ ორიღა დარჩა.

გამოიჩეკენ თუ არა, ერთმანეთს აღარ დაშორებიან, მთელი სიცოცხლე ერთად გაატარეს და ერთმანეთს ძალიან შეეჩვიენ. ერთი პატარა იყო, მეორე კი დიდი და სქელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულის უკანასკნელი დღე იყო. მატლები ერთად ისხდნენ შტოზე. მიირთმევდნენ წიწვს და მუსაიფობდნენ:

— ჩვენ ახლა ზრდა დავათავეთ,—ამბობდა პატარა;—ჩქა-



რა შემოდგომა დადგება, ჭუპრად გადავიქცევით, დავიძინებთ და მთელი ზამთრის განმავლობაში გვეძინება.

— ზამთრის შემდეგ ისევ ზაფხული მოვა,—უთხრა მეორემ, დიდმა მატლმა,—ჩვენ გამოვძვრებით ჭუპრიდან და პეპლებად გადავიქცევით. მაშინ ვიფრინოთ ერთად და ვსვათ ყვავილების ნექტარი.

გაზაფხული ჯერ კიდევ შორსაა და ჩვენ-კი იმდენი მტერი გვყავს!—სთქვა პატარამ.—რამდენი და დაგვეღუპა. მოდი ჩქარა ჩავცოცდეთ ძირს და დავიმალოთ მიწაში.

— მე არავისი არ მეშინია,—უპასუხა დიდმა,—აბა, შემომხედე, რამოდენა ვარ, რა მაგარი ყბები მაქვს! ძირს ჩასვლას ყოველთვის მოვასწრებთ. აი, გაიხედე, ჯერ კიდევ ბევრია ნოყიერი წიწვი.

და ახალი წიწვის წიწკნას შეუდგა.

პატარა მატლი ყოველთვის ემორჩილებოდა თავის დიდ მეგობარს და ქედს იხრიდა იმისი ღონისა და გამბედაობის წინაშე.

მასაც უნდოდა მიცოცებულიყო ახალ წიწვთან, რომ უცებ მსუბუქი შრიალი შემოესმა, აიხედა მაღლა და დაინახა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათკენ მოფრინავდენ ტანწერწეტა, გამჭვირვალფრთებიანი, მაფებივით წვრილკუდიანი მწერები—მხედრები.

მატლები შეშინდენ, თუმცა თვითონაც არ იცოდენ რატომ. მათ არასოდეს არ უნახავთ ახლოს მწერი მხედარა.

უცებ ერთმა მხედარამ შეამჩნია მატლები და გადმოუხვია მათკენ.



— მხედარაა, გაუფრთხილდი, დაიმალე!—დაუყვირა პატარა მატლმა დიდს, მაგრამ დიდი ხმაურობით ხრავდა წიწვს და ვერ გაიგონა მეგობრის ყვირილი.

როგორც ქორი, დაეცხრა ფრთოსანი ავაზაკი დიდ მატლს, შეახტა ზურგზე და ჩაასო ზურგში თავისი ისარი...

გველივით იკლაკნებოდა მატლი, ცდილობდა ეკბინა მტრისათვის, აფურთხებდა თვალებში თავისი მწვავე ფურთხით.



ბოლოს ავაზაკმა გაუშვა თავისი მსხვერპლი და გაფრინდა.

შეშინებული მატლები ჩამოცოცდენ ხის მირზე. დიდს დაავიწყდა თავისი სიმამაცე და უხაროდა, რომ ცოცხალი გადარჩა. ის არ გრძნობდა, რომ მწერმა მხედარამ ჭრილობაში ჩაუდვა მას თავისი კვერცხი. რა იცოდა მან, რომ ჩქარა იმ კვერცხიდან გამოიჩეკებოდა მწერი—მხედარას მატლი, იცხოვრებდა მასში და ისაზრდოებდა მისი სხეულით.

საჩქაროდ ჩამოცოცდენ მატლები მირს. ფიჭვის მირები დაფარული იყო რბილი ხავსით. მატლები ჩაძვრენ ხავსში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავიდენ მიწაზე. იქ შეაკოწიწეს მიწისაგან მყუდრო ბუდეები, ჩაწვენ შიგ და გაინაბენ.

მატლები თვითონ არ ინძრეოდენ, მაგრამ სხეულის ნაწილები თავისთავად იკუმშებოდენ, მოკლდებოდენ, იცვლიდენ სახეს და მუქდებოდენ.

და ჩქარა გრძელი და ჭრელი მატლების მაგივრად ბუდეში ორი მოკლე, პრიალა შავი და მაგარქერქიანი ჭუპრი იდვა უძრავად.

დაზამთრდა.

თოვლსა და ხავსს ქვეშ თბილ ბუდეებში იწვენ ჭუპრები და ელოდენ ზაფხულს.

გავიდა ზამთრის გრძელი თვეები. მზემ მაღლა ამოიწია, ჭაერი გათბა, თოვლმა იწყო დნობა და ნაკადულებად წამოვიდა. გათბა დედამიწა, ამოვიდა ბალახი, ირგვლივ ყველაფერი ამწვანდა. მზის სხივებმა ჩაიტანეს სითბო ჭუპრების ბუდეებშიც.

ისევ დადგა ზაფხულის საღამო. პატარა მატლი შეინძრა, კანი გაუსკდა, ნასკდომი თანდათან გაგანიერდა, გამოჩნდა პაწაწკინა ხალიანი თათები და მოეჭიდა ნასკდომის კიდეებს. შემდეგ გამოჩნდა პეპელას თავიც; ცოტა შრომა კიდევ—და ჭუპრი მთლად გასკდა სიგრძეზე და ნელ-ნელა ამოძვრა პეპელა.

ფრთების მაგიერ ზურგზე ნაზი პატარა დაჭმუჭნილი გუნდები ეწყო. გუნდები თანდათან გაიშალა, გასწორდა და გაიზარდა.

გაიარა ერთმა საათმა. მას გამოუვიდა ფრთები, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ რბილი და უძრავი იყო. გავიდა კიდევ რამოდენიმე საათი; ფრთები გაუმაგრდა და მოქნილი გაუხდა. პეპელამ ფრთა ფრთას შემოჰკრა და გასაფრენად მოემზადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უცებ თავისი და მოაგონდა.

ის იქვე იწვა გვერდით და ინძრეოდა. უცებ ჭუპრის მთელი წინა ნაწილი კოლოფის ხუფივით გადაიხსნა და პეპელამ სიხარულით ფრთები ააფარფატა, რომ მიგებებოდა თავის დას.




და შეშინებულმა უცებ უკან დაიხია.

ლამაზი პეპელას მაგივრად მისი დის ჭუპრიდან ნელა მოძვრებოდა მწერი — მხედარას მახინჯი, მობუზული სხეული.

თავზარდაცემულმა პეპელამ ფრთა ფრთას შემოჰკრა და ისარივით ავარდა ჰაერში, რომ თავი დაეხწია საშინელი მეზობლისაგან, რომელმაც დალუპა მისი და.

№.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1926 წ.

გ ა მ ო ვ ა

ყოველთვიური საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები:

მცირეწლოვ. **„ნაკადული"** მე-XXII წ.

მოზრდილ. **„წითელი სხივი"** წელ. მე-III.

**ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.**

გადაგზავნით:
- **„ნაკადული"** — ერთი წლით — 3 მ. 50 კ.
  - ნახევარი წლით — 2 მან.
- **„წითელი სხივი"** — ერთი წლით — 5 მან.
  - ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი:
- **„ნაკადული"** 35 კაპ.
- **„წითელი სხივი"** 45 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, განათლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა" და „წითელი სხივის" რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი 7/V—26. ს.ს.მ. უ.ს. პოლ-ტრ. 1-ლი სტამბა შეკ. №—/1130. მთავ. № 687 ტირ. 4000